

შრომითი უფლებები და უსაფრთხოება საქართველოში

მარიამ ბიძინაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენლია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლის და პოლიტიკის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბიძინაშვილი

01.07.2020

აბსტრაქტი

უსაფრთხო შრომითი გარემო და დასაქმებულთა უფლებების დაცვა ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოწვევაა. ამ კუთხით გამონაკლისი არც საქართველოა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ღონისძიება გატარდა პრობლემის აღმოსაფხვრელად, როგორცაა: შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მიღება, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ჩამოყალიბება და ა.შ, მიუხედავად ამისა პრობლემა აქტუალობას არ კარგავს, რაც დასტურდება საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემებით დასაქმებულების დაღუპვის კუთხით.

ნაშრომი ეხება საქართველოში დასაქმებულთა შრომით უფლებებს და მათ უსაფრთხოებას, რაც განხილულია არსებული სამართლებრივი რეგულაციების, ამ რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების, სტატისტიკური მონაცემებისა და თეორიული მასალის ანალიზის საფუძველზე.

კვლევაში მოყვანილია სხვა ქვეყნების მაგალითებიც, იმისათვის რომ მკითხველს ჰქონდეს წარმოდგენა, თუ როგორია შრომის უფლებების და უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა საზღვარგარეთ, მეზობელ თუ ევროპის ქვეყნებში.

თვალსაჩინოებისთვის, წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები ყველაზე მეტი საფრთხის შემცველ სამუშაოებზე დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ. განხილულია, აგრეთვე, მსგავსი კატეგორიის სამუშაოების კუთხით არსებული სასამართლო დავები.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს იმ პრობლემების წინ წამოწევასა და ხაზგასმას, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით შრომით ურთიერთობებში და მიუხედავად ამისა,

იძულებულები ვართ ვიმუშაოთ დაუცველ გარემოში საარსებო მინიმუმის გამოსამუშავებლად. ასევე კვლევის მიზანია ასახოს შრომითი უფლებების წარმოშობა და განვითარება საქართველოში, აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება შრომით უფლებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და დაანახოს მათ მისი მნიშვნელობა.

სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია გამართული სამართლებრივი სისტემა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ სისტემის პრაქტიკაში გამოყენება და საზოგადოების ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლებები აქვთ მათ, რადგან სხვა შემთხვევაში სამართლებრივი რეგულირება აზრს დაკარგავდა. უსაფრთხო შრომითი გარემო და დასაქმებულთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ საკითხზე ღიად საუბარი, რაც დაეხმარება საზოგადოებას დაიცვას საკუთარი უფლებები შრომითი ურთიერთობისას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შრომითი უსაფრთხოება, დისკრიმინაცია, დასაქმებული, დამსაქმებელი, შრომის ინსპექცია

Abstract

Maintaining safe working environment and rights for the employed is one of the important problem and challenge in 21st century world. Georgia is not an exception at this point, despite of the fact that the authorities put an intensive effort within the past few years to eliminate this problem, such as the adoption of a labor safety organic law; the establishment of a special department to inspect working place and conditions, etc. The problem remains actual, as the statistical data on the death of the employees in Georgia claims.

The paper is about the rights and safety of the employees, discussed on the basis of the existing legal regulations, practicing these regulations, and analyzing statistic data and theoretical materials.

This study includes the examples of other countries, so that the reader understands the state of the labor rights and safety abroad, in neighboring or European countries.

Statistic data about the number of deaths and injuries at the most dangerous workplaces are applied, to be obvious. Disputes over similar categories of work are also discussed.

The following work aims to highlight and underline the problems we face on a daily basis in labor relations and that we have to work in a vulnerable environment to earn a living wage, in spite of these problems. It also serves to reflect the origin and development of the labor rights in Georgia, to aware community and show readers the importance of these rights.

Organized legal system is important for the legal state, but practicing this system and informing community about their right is more important, because or else the legal regulation would frustrate. High standard of maintaining the rights and safe workplace for employees is an integral part of the legal state, accordingly, it's important to talk about this issue patently - this will help community to reserve their rights in labor relations.

Basic keywords: labor safety, discrimination, employed, employer, labor inspection